პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 ივნისი ოთხშაბათი 1970 წელი 2 ქაქ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 147 (14751)

შრომით ვალდებულებათა სამშობლო

მასწინათ გორის, ზუგდიდისა და სიღნაღის რაიონების სოფლის მშრომელებმა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის შესახვედრად ახალი, გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს მოუწოდეს ფართოდ გაეჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ამ ღირსსახსოვარი თარიღის აღსანიშნავად.

სამი რაიონის სოფლის მშრომელთა ახალი ინიციატივა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, — ვკითხულობთ ამ დადგენილებაში, — რეკომენდაცია მისცა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მხარი დაუჭირონ ამ რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელთა ინიციატივას, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ რაიონში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, საწარმოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის, საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტების მშენებლობის ტემპების დაჩქარებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის“.

საქართველოს სოფლებში მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ღირსსახსოვარი თარიღის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. მინდვრებიდან, ფერმებიდან, ჩაის პლანტაციებიდან, ბაღ-ვენახებიდან ყოველდღიურად მოდის სასიხარულო ცნობები, საზოგადოებრივი მეურნეობანი რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს პატაკს აბარებენ ახალ-ახალი შრომითი გამარჯვებების შესახებ.

შეჯიბრების პირველ რიგებში არიან ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები. 230 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთლისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ბევრი რაიონი, კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა, ჩაის ფაბრიკა, ბრიგადა თუ რგოლი, მოწინავე მეჩაიეები ყოველდღიურად შრომითი მამაცობის მაგალითებს გვიჩვენებენ, ბევრმა ნახევარი წლის გეგმა ვადაზე ადრე დიდი გადამეტებით შეასრულა.

ხანგრძლივი გვალვების გამო ძნელი ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი მემინდვრეები. ეს განსაკუთრებით ითქმის კახეთის რაიონების მინდვრის მშრომელებზე. გვალვამ ათასობით ჰექტარი შემოდგომის ნათესები დააზიანა, მაგრამ მემინდვრეებს გული არ გაუტეხიათ, ყველაფერს აკეთებენ, რომ მინდვრად არ დარჩეს არცერთი თავთავი. დაზიანებული ნათესები გადაბნა და სიმინდი დაითესა. გარდა ამისა, სიმინდს დიდ ფართობზე თესავენ აგრეთვე ნაწვერალზე. მარცვლეულის მწარმოებელი წითელწყაროს, სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხის, გარდაბნის, მარნეულის, ქარელის, კასპის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონების მშრომელთა საპატიო ამოცანა ახლა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით იბრძოლონ მარცვლეულის დამზადების გეგმის უთუოდ შესრულებისათვის. ამისათვის საჭიროა უდანაკარგოდ, შემჭიდროებულ ვადებში აიღონ პურეული, ამასთან გვალვით გამოწვეული დანაკლისი შეავსონ სიმინდით. სიმინდის ნათესების აგროწესების ზუსტად დაცვით მოვლა დღეს მემინდვრეთა პირველი რიგის საზრუნავია. აქვე უნდა დავძინოთ, რომ პირუტყვის საკვების საკმაო რაოდენობით წარმოების საქმეც არასახარბიელო მდგომარეობაშია. პირუტყვისათვის საკმაო რაოდენობით რომ მოვიმარაგოთ უხეში საკვები, საჭიროა პურეულის ნამჯა მთლიანად შევაგროვოთ და სათანადო ადგილზე დავზვინოთ.

საქართველოს მეზვერეებს არაერთხელ უსახელებიათ სამშობლო. საიუბილეო წელსაც, როგორც ყოველთვის, მეველახეები ენერგიულად შრომობენ. იმედია მათი ვალდებულება — სახელმწიფოს მიჰყიდონ 340 ათასი ტონა ყურძენი — უთუოდ შესრულდება. ამისათვის კი საჭიროა წარმოებაში კვლავაც ფართოდ დავნერგოთ მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება, ზვრებს არ მოვაკლოთ მზრუნველი ხელი.

მეხილეობის რაიონებმა კარგა ხანია დაიწყეს ვალდებულების შესრულებისათვის ზრუნვა. ახლა ისინი ყოველდღიურად ათობით ტონა ხილს აბარებენ სახელმწიფოს. ასევე ითქმის ჩვენს სახელოვან მებოსტნეებზე, მეცხოველეებზე. მეცხოველეებმა და მებოსტნეებმა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ტემპი უფრო უნდა გააძლიერონ, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მშრომელებს საკმაო რაოდენობით მისცენ მაღალხარისხოვანი პროდუქტები.

საქართველო მრავალდარგოვანი ქვეყანაა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე ციტრუსებს, თამბაქოს, ეთერზეთოვან კულტურებს, შაქრის ჭარხალს, კარტოფილს. ეჭვი არ გვეპარება ამ დარგების მჭონე რაიონების პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა, ყველა მშრომელი ენერგიის დაუზოგავად იბრძოლებენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

სამეურნეო დარგში მიღწეულ წარმატებებს გარდა საქართველოს სოფლის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ღირსშესანიშნავი თარიღისათვის უფრო გაალამაზონ რაიონის ცენტრები, სოფლები, უბნები, კარმიდამოები. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სოფლის მშრომელები აქაც თავიანთ ღირსეულ სიტყვას იტყვიან.

ღირსსახსოვარი ორმოცდაათი წლისთავი საბჭოთა საქართველოს მომავალი წლის 25 თებერვალს უსრულდება, მაგრამ ამ თარიღის აღსანიშნავი სათანადო საჩუქრები მიმდინარე წლის სამეურნეო მაჩვენებლებია. სწორედ ამიტომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა გაწყვეტილი მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უნდა მოახსენონ 1971 წლის 1 იანვრისათვის“.

ეს იქნება პატაკი სამშობლოსადმი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ!

ახლა ამოცანა ის არის, რომ სოფლის მშრომელებმა ახალი წარმატებებით გაახარონ დედა-სამშობლო, ნაკისრ ვალდებულებათა გადამეტებით შესრულებისათვის უფრო მაღლა აჰყონ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე მოპოვებული გამარჯვებებით აღვნიშნოთ საყვარელი საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი!

სხდომა ბაქოში

28 ივნისს ბაქოში გაიმართა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს სხდომა. სამხედრო საბჭომ განიხილა შემდეგი საკითხები: საბჭოთა არმიის რიგებში ახალგაზრდობის საგანგებოდ გაწვევის შედეგები ამიერკავკასიის რესპუბლიკებში; ახალგაზრდა მეომრების პოლიტიკური აღზრდის გაძლიერების ამოცანები სრულიად საკავშირო ალკ XVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად; ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის 50 წლისთავისათვის მზადება.

განხილულ საკითხებზე მიღებულია ვრცელი გადაწყვეტილებანი.

სამხედრო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ე. ქოჯოინიანი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ა. ალიევი.

ბაქოში ყოფნის დროს ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, ა. ე. ქოჯოინიანი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ხ. პ. კურკოტკინი ამხანაგებთან ბ. ა. ალიევთან, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ი. იბრაგიმოვთან, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ა. ა. ხალილოვთან, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანთან ს. ვ. კოზლოვთან ერთად გაეცნენ აზერბაიჯანის დედაქალაქის მთელ რიგ ღირსშესანიშნაობებს.

იმავე დღეს სტუმრები თბილისსა და ერევანში გაემგზავრნენ.

(საკდესი).

საბჭოთა კაცრების სნაველება

23 ივნისს თბილისში დაიწყო ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადასამზადებელი მუდმივმოქმედი კურსების მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა.

ერთი თვის მეცადინეობას შეუდგნენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები.

მეცადინეობის პერიოდში კურსების მსმენელებს წაუკითხავენ ლექციებსა და მოხსენებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის ძირითადი პრობლემების, მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის შესახებ. სასწავლო გეგმაში დიდი ადგილი ეთმობა პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხების შესწავლას. მოეწყობა აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობა. (საქდესი).

ა. ა. გრომიკო მოსკოვში დაბრუნდა

23 ივნისს ბუდაპეშტიდან მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. იგი მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში. (საკდესი).

ჩუვაშეთის ასსრ 50 წლისთავს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩუვაშეთის საოლქო კომიტეტის, ჩუვაშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ჩუვაშეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მზრუნველად მიესალმებიან და ულოცავენ ჩუვაშეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელთ ღირსშესანიშნავ თარიღს — ჩუვაშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის ორმოცდაათე წლისთავს და მას დაჯილდოებას ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო რუსეთის ხალხთა სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, შეუქმნა მათ ფართო შესაძლებლობანი თავისუფალი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. 1920 წლის ივნისში ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილმა დეკრეტმა დასაბამი მისცა ჩუვაში ხალხის სახელმწიფოებრიობას.

განვლილი ორმოცდაათი წლის მანძილზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმურ მრავალეროვან ოჯახში საბჭოთა ჩუვაშეთმა განვლო დიდი და სახელოვანი გზა. რესპუბლიკის მშრომელნი აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა ხელისუფლების ქმნადობასა და განმტკიცებაში, მამაცურად და მედგრად ებრძოდნენ ფაშისტ დამპყრობლებს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, თავდადებული შრომით ღირსეული წვლილი შეიტანეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ჩუვაშმა ხალხმა მოკლე ვადაში დაძლია საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა და სიღატაკე, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ახლა ჩვრილი ნახევრადკულტარული სახელოსნოებისა და სარეწების ნაცვლად რესპუბლიკაში შექმნილია მრავალდარგოვანი თანამედროვე მრეწველობა. მწყობრში ჩადგა მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ქიმიური, მსუბუქი, ხისდამამუშავებელი მრეწველობის მსხვილი საწარმოები. ძირეული გარდაქმნები განხორციელდა სოფლის მეურნეობაში იგი ტექნიკურად აღჭურვილი გახდა, გაიზარდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა. წლითიწლობით იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

შესანიშნავი წარმატებებია მიღწეული კულტურის განვითარებაში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. რეჟოლუციამდე ჩუვაშეთის მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტი უწიგნური იყო. ახლა რესპუბლიკაში წარმატებით ხორციელდება საყოველთაო საშუალო განათლება, შექმნილია სახელმწიფო უნივერსიტეტი, მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. სახალხო მეურნეობაში შრომობს ათიულ ათასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. გაიზარდა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები.

დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, დიდი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავს. ავითარებენ რა ლენინის საიუბილეო შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებს, რესპუბლიკის მშრომელნი საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გულმოდგინედ იბრძვიან საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ახალ წარმატებებს უსურვებენ ჩუვაშ ხალხს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაში, კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებაში.

გაუმარჯოს ჩუვაშეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჩუვაშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის და ჩუვაშეთის ასსრ შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ჩუვაშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1970 წ. 22 ივნისი.

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ავტომობილებს მარკით — „კოლხიდა“ ჩვენი ქვეყნის მრავალ მეურნეობაში შეხვდებით. ყაზახეთში, კრასნოდარის მხარეში, ცელინოგრადში, სტავროპოლში, უკრაინასა და სხვა რესპუბლიკებში გაგზავნილია 1300-ზე მეტი ავტომანქანა. გასაგზავნად მზადდება კიდევ 1500 ავტომანქანა. კონსტრუქტორები განაგრძობენ მანქანის კვანძების და დეტალების სრულყოფას.

ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის განყოფილების კოლექტივი მუშაობს ახალი, „კაზ-608-ვ“ ტიპის ავტომობილის კაბინის სრულყოფაზე. ახალი კაბინის უპირატესობა ის არის, რომ რთული კვანძებისა და დეტალების რაოდენობა შემცირდება 30 პროცენტით, გაადვილდება მისი აწყობა. სურათზე: კონსტრუქტორთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ზურაბ გაბუნია, ელგუჯა ნაცვლიშვილი, ანზორ მოწონელიძე და შოთა ელიავა. ფოტო ბ. გერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. კ. დობრონეცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ლეონიდე კონსტანტინეს-ძე დობრონეცკი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 22 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ შ. თ. ჭანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი შალვა თომას-ძე ჭანიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 22 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ხ. გოგილიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის მდივანი ამხ. ბიძინა სეფეს-ძე გოგილიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 22 ივნისი.

საბჭოთა კავშირ-პაკისტანის მოლაპარაკება

22 ივნისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალ აღა მოჰამედ იაჰია ხანის მოლაპარაკება. გენერალი აღა მოჰამედ იაჰია ხანი მოსკოვში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-პაკისტანის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე გაიმართა აზრთა გულახდილი გაზიარება მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე. (საკდესი).

ურთიერთთანამშრომლობის ინტერესებისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ 22 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალ აღა მოჰამედ იაჰია ხანის პატივსაცემად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და აღა მოჰამედ იაჰია ხანმა სიტყვები წარმოთქვეს.

მიმართა რა სტუმარს, ნ. ვ. პოდგორნიმ თქვა, რომ მისი ვიზიტი საბჭოთა კავშირში ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული კეთილმეზობლობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ახალი გამოვლინებაა. ეკონომიკის დარგში ეს ურთიერთობა ვრცელდება პაკისტანის ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა სფეროზე, როგორიც არის. მაგალითად, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ნავთობისა და გაზის ძიება, თევზჭერა და სხვ. წარმატებით ვითარდება სავაჭრო თანამშრომლობა, და იმედი გვაქვს, რომ 1971-1975 წლების ახალ შეთანხმებაში გათვალისწინებული იქნება მისი შემდგომი გაფართოება. კარგად ვითარდება აგრეთვე მეცნიერული, კულტურული და სხვა ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირსა და პაკისტანს შორის, აღნიშნა ნ. ვ. პოდგორნიმ, არ არის სადავო საკითხები, ჩვენი ქვეყნების ხალხები პატივისცემითა და სიმპათიით ეკიდებიან ერთმანეთს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყველა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნები მშვიდობითა და თანხმობით ცხოვრობდნენ, რომ უფრო მტკიცდებოდეს და განუხრელად ვითარდებოდეს ჩვენი კეთილმეზობლური ურთიერთობა ორივე ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობად.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, თქვა შემდეგ ნ. ვ. პოდგორნიმ, იგი ახორციელებს ლენინურ მშვიდობისმოყვარულ კურსს და კვლავაც შეეცდება პაკისტანთან განვითაროს მეგობრული ურთიერთობა თანასწორობის, სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე.

პაკისტანის საზღვრების მახლობლად, თქვა შემდეგ ნ. ვ. პოდგორნიმ, იმპერიალისტური წრეები უსეშად თელავენ ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობის, სოციალური პროგრესის უფლებას, ცდილობენ იარაღის ძალით უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი. ამერიკის შეერთებულ შტატებს არათუ ხელი არ აუღიათ თავიანთ აგრესიულ გეგმებზე ვიეტნამში, რომლებიც განწირულია ჩაფუშვისათვის, არამედ, პირიქით, აფართოებენ აგრესიას ინდოჩინეთის სხვა ხალხთა წინააღმდეგ. ამას მოწმობს მდგომარეობა, რომელიც ახლა შეიქმნა კამბოჯასა და ლაოსში.

გაჭიანურდა, მშვიდობის საქმისათვის საშიში ხდება ახლო აღმოსავლეთის ამბებიც. ისრაელი აგრესორები ეყრდნობიან დასავლეთელ მფარველთა მხარდაჭერას და ვანაგრძობენ არაბული ქვეყნების ტერიტორიების უკანონო ოკუპაციას, არ წყვეტენ პროვოკაციებს მათი ხალხების წინააღმდეგ.

მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების ინტერესები მოითხოვს, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანამ გააბრუცილოს ერთობლივი გადამწყვეტი ღონისძიებანი ომისა და რეაქციის ძალების ხრიკების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირში, განაცხადა ნ. ვ. პოდგორნიმ, ღირსეულად აფასებენ მეგობარი პაკისტანის მთავრობის ნაბიჯებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ მთელი რიგი აქტუალური საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-პაკისტანის მეგობრობა — ითანამშრომლონ სავაჭრო-პოლიტიკურ დარგში — კვლავაც გაგრძელდება.

ჩემი ვიზიტი, თქვა საპასუხო სიტყვაში აღა მოჰამედ იაჰია ხანმა, ემთხვევა თქვენი დიდი ბელადის, საბჭოთა კავშირის დამაარსებლის ლენინის დაბადების 100 წლისთავს — მოვლენას, რომელიც ესოდენ საზეიმოდ აღინიშნება საბჭოთა კავშირსა და სხვა ბევრ მეგობარ ქვეყანაში.

პირადად ჩემთვის ეს ჩამოსვლა სასურველი შესაძლებლობაა იმისათვის, რომ განვაახლო ნაცნობობა ძველ მეგობრებთან და გავაღრმაო მეგობრული კავშირურთიერთობა და ურთიერთგაგება პაკისტანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეზობელთან.

ჩვენ, აღნიშნა პრეზიდენტმა, ჯეროვანი ყურადღება მივაქციეთ საბჭოთა კავშირის მრეწველობის სწრაფ განვითარებას. ჩვენ ვისწავლით თქვენი გამოცდილებიდან. ჩვენ ასევე ვაფასებთ საბჭოთა კავშირის მხარდაჭერას ჩვენი ეკონომიკის განვითარების საქმეში.

ჩვენ აგრეთვე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პაკისტან-საბჭოთა კავშირის მეგობრობას. დიდ აღტაცებას იწვევს საბჭოთა ხალხის მიღწევები ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით მეცნიერებასა და ტექნიკაში, აღნიშნა აღა მოჰამედ იაჰია ხანმა.

გულწრფელად გვწამს, რომ ეს მიღწევები ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს, აგრეთვე დააჩქარებს თქვენი ხალხის ეკონომიური განვითარების ტემპს.

მრავალი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა განუწყვეტლივ ვითარდებოდა, და ჩვენი თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში აგრეთვე პოზიტიურად მიდიოდა წინ. ჩვენი თვალსაზრისით, პაკისტანსა და საბჭოთა კავშირს შორის შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები იმდენადვე ფართოა, რამდენადაც მრავალისაღმოსავლეთი.

(საკდესი).

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVI ყრილობა გაიხსნება 25 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 23-24 ივნისს ცეკავშირის შენობაში (კალინინის ქ. № 88) დილის 9 საათიდან 22 საათამდე, ხოლო 25 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში დილის 8 საათიდან.

ცეკავშირის გამგეობა.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. კ. დობრონეცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ლეონიდე კონსტანტინეს-ძე დობრონეცკი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 22 ივნისი.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ შ. თ. ჭანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი შალვა თომას-ძე ჭანიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 22 ივნისი.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ხ. გოგილიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის მდივანი ამხ. ბიძინა სეფეს-ძე გოგილიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 22 ივნისი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 1970 წლის 24 ივნისს მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-12 მოწვევის საქალაქო საბჭოს მეშვიდე სესია.

სესია გაიხსნება დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 11 საათიდან).

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ᲮᲕᲐᲚ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ XVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

მომხმარებელს — საუკეთესო მომსახურებას!

სამომხმარებლო კოოპერაცია ეწოდება მუშათა და გლეხთა გაერთიანებას მათთვის საჭირო პროდუქტების შეძენის და გასაღების მიზნით.

ვ. ი. ლენინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ ᲔᲫᲚᲔᲑᲐᲗ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲬᲚᲐᲑᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ. ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲐ ᲛᲔᲢᲐᲒᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲚᲔ ᲛᲝᲐᲢᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ XVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲔᲡᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ: ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲙᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲬᲘᲜᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲭᲝᲭᲚᲔ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲛᲐᲓᲐᲡᲢᲐᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲪᲐᲚᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲑᲠᲣᲜᲕᲝ ᲬᲘᲜᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲔᲑᲐᲚᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲡᲗᲐᲜ. ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲙᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲜ. ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲘᲡᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ 1 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ 200 ᲐᲡᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲛᲓᲔ, ᲠᲐᲪ 1965 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲗᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲘᲐ

მსოფლიო დღეს

კეთილი ნების ვიზიტი

ყარაჩი, 23 ივნისი. (საკდესი). პაკისტანის დღევანდელი გაზეთები მოწონებით სტატიებს უძღვნიან სსრ კავშირში პრეზიდენტ იაჰია ხანის ვიზიტს. „ეს კეთილი ნების ვიზიტი,— წერს გაზეთი „დოონი",— შექმნის შესაძლებლობას, რომ გაიმართოს აზრთა გაზიარება ორივე ქვეყნისათვის საინტერესო მთელ რიგ საკითხებზე, დადასტურდეს პაკისტანისა და სსრ კავშირის მისწრაფება კიდევ უფრო განვითარონ კეთილმეზობლური ურთიერთობა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობას ახასიათებს „სულ უფრო მზარდი გულითადობა". „დოონი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „პაკისტანსა და სსრ კავშირს არა აქვთ სადავო საკითხები — ორივე ქვეყანას ყველა საფუძველი აქვს ესწრაფვოდეს ურთიერთობის შემდგომ განვითარებას ურთიერთპატივისცემისა და სარგებლობის ბაზაზე".

გაზეთ „მორნინგ ნიუსის" აზრით, იაჰია ხანის ვიზიტი სსრ კავშირში ხელს შეუწყობს პაკისტანისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთგაგებისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას".

გაზეთი „ბიზნეს პოსტი" მოწონებით სტატიას უძღვნის ორი ქვეყნის ეკონომიური და საჯარო ურთიერთობის განვითარებას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაზეთი ანიჭებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას პაკისტანის ეკონომიური განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდება

ჟენევა, 23 ივნისი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ ყველა ორგანიზაციასა და ცალკეულ პირებს, რომლებიც მონაწილეობენ ანდოჩინეთში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოუწოდა მიმდინარე ზაფხულში გაწელონ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების აქტიური კამპანია აგრესიის შეწყვეტისათვის.

განცხადება, რომელიც აქ გამართულ პრესკონფერენციაზე წაიკითხა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რომეშ ჩანდრამ, შეიცავს მოწოდებას, რომ მომდინარე წლის 20 ივლისს — ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა დადების დღეს — გაიმართოს ანდოჩინეთის ხალხებთან სოლიდარობის ფართო დემონსტრაციები.

პრესკონფერენციის მონაწილეებს დაურიგეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა მიმართვა, რომელიც შეიცავს მოწოდებას ყველა ხალხისადმი გამოთქვან აღშფოთება ანდოჩინეთში ამერიკის აგრესიის გამო და მოითხოვონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანა მათ მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

დამთავრდა თათბირი ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 22 ივნისი. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტში მუშაობა დაამთავრა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა.

შესაბამისი დოკუმენტები გავრცელდება.

□

გმოგენ ნატოს

ნიკოზია, 22 ივნისი. (საკდესი). „კვიპროსის საკითხს გადაწყვეტენ თვითონ კვიპროსელები", — განაცხადა კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. პაპაიოანუმ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ქალაქ ლარნაკაში გამართულ მიტინგზე. კვიპროსის წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანა, თქვა მან, ის არის, რომ ჩაფუშოს ქვეყნის დამონების იმპერიალისტური გეგმები, რომლებიც სურთ განახორციელონ თავისი აგენტურის — კვიპროსის მეზუთე კოლონის საშუალებით, და შეინარჩუნონ პატრიოტული ძალების ერთიანობა. „კვიპროსელი ხალხი გმობს ნატოს ბლოკს", — განაცხადა ე. პაპაიოანუმ.

ამერიკელ სენატორთა მოთხოვნა

ვაშინგტონი, 23 ივნისი. (საკდესი). ორმა ამერიკელმა სენატორმა მოითხოვა, რომ მთავრობა არ შეალავებს ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს თანხას, რომელიც შეერთებულ შტატებს უპდება ჯიეტნამის ომის. სენატორებმა ჩარლზ გუდელმა (რესპუბლიკელი) და უილიამ პროქსმაირმა (დემოკრატი) სენატს განსახილველად შეიტანეს შესწორება, რომელიც ითვალისწინებს, რომ პრეზიდენტის ყოველწლიურ ეკონომიურ მოხსენებაში აღნიშნული იყოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომის წარმოებისათვის განკუთვნილი ხარჯების საერთო თანხა.

ორი სენატორის ჯანცხადებაში, რომელიც მათ გაკეთეს, როცა შეიტანეს შესწორება კანონპროექტისა „თავდაცვის საშუალებათა წარმოების შესახებ", ხაზგასმულია, რომ მთავრობა ამერიკის საზოგადოებრიობასა და კონგრესს უმალავს ვიეტნამში ომის წარმოებისათვის განკუთვნილი ხარჯების ნამდვილ ოდენობას. „ჩვენ ბგრეთვე მოვითხოვთ ადმინისტრაციისაგან გამოაქვეყნოს ცნობები, თუ რა სამხედრო დახმარების გაწევას აპირებს ამ რაიონის ქვეყნებისათვის", — აღნიშნულია სენატორთა განცხადებაში.

პრეზიდენტის ვეტო

ვაშინგტონი, 23 ივნისი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ნიქსონმა ვეტო დაადო კონგრესის მიერ წარდგენილ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობისა და მოდერნიზაციისათვის ასიგნებების გადიდებას. კანონპროექტი შეიცავდა წინადადებას, რომ ამ დარგში სამი წლის პროგრამის შესრულებისათვის გამოეყოთ 1,261 მილიონი დოლარი.

შრომა და კაპიტალი

ფრანკისტულ ესპანეთში

პარიზი. (საკდესი). ასტურიაში (ესპანეთი) დაიწყო 8 ათასზე მეტი მეშახტის გაფიცვა, რომლებიც თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვენ. ესპანეთის მეორე ქალაქ სევილიაში გრძელდება 25 ათასი მუშის ბრძოლა. მათ წინააღმდეგ გამოეყვანეს პოლიცია. მოხდა შეტაკებანი. დაპატიმრებულია 6 კაცი.

იტალია უგაზეთოდ

რომი. (საკდესი). კვირას მთელი იტალია უგაზეთოდ დარჩა. უმოქმედოდაა აგრეთვე იტალიის საინფორმაციო სააგენტოები. იტალიელმა პოლიგრაფისტებმა საყოველთაო-ეროვნული 24 საათიანი გაფიცვა გამოაცხადეს, მოითხოვენ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადებას, რომელიც გაითვალისწინებს მატერიალური პირობების გაუმჯობესებას.

ისლანდიელ მშრომელთა გამარჯვება

რეიკიავიკი. (საკდესი). ისლანდიაში რიგ კვირას გრძელდებოდა 20 ათასი მუშის გაფიცვა, რომელიც მშრომელთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ მიაღწიეს იმას, რომ გაედიდებინათ ხელფასი საშუალოდ 15 პროცენტით.

ჯ. ნ. კეცხოველი



გარდაიცვალა თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი **ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი**, კაცი, რომლის მთელი სიცოცხლე მჭიდროდ იყო დაკავშირებული პარტიასთან და ხალხთან, წარმოადგენდა სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს.

ჯ. ნ. კეცხოველი დაიბადა 1902 წელს გორის რაიონის სოფელ ტყვიავაში, პედაგოგის ოჯახში. ზროშითი მოღვაწეობა დაიწყო როგორც, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშამ.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის წლებში ჯ. ნ. კეცხოველი ხელმძღვანელ საბჭოთა სამუშაოზე იყო და თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა ორგანიზატორმა, პრინციპიანმა ხელმძღვანელმა. 1938-დან 1942 წლამდე იყო სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული მოადგილე. შემდეგ კი რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში. 1941 წელს ჯ. ნ. კეცხოველი მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

1942 წელს ჯ. ნ. კეცხოველი ინიშნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ხოლო ორი წლის შემდეგ —ამასთანავე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრად. ამ წლის განმავლობაში მან ბევრი რამ გააკეთა რესპუბლიკაში კვების ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობისათვის.

სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას ზაქარია ნიკოლოზის-ძე, იგი ყოველთვის მთელ თავის ენერგიასა და გამოცდილებას ახმარდა რესპუბლიკის ეკონომიკის აყვავების საქმეს. 1947-დან 1952 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, 1952-დან 1953 წლამდე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, 1953-დან 1957 წლამდე — სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრად, შემდეგ 1957-დან 1959 წლამდე — ცეკაშჩორის გამგეობის თავმჯდომარედ და ყველგან დაიმსახურა რესპუბლიკის მშრომელთა დიდი პატივისცემა და ნდობა.

უკანასკნელ ხანს ჯ. ნ. კეცხოველი პერსონალური პენსიონერი იყო და მუშაობდა მრჩეველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან.

ენერგიული ხელმძღვანელი, ნაპერი ორგანიზატორი, ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი დიდი სამამულო ომის წლებში მთელ თავის მჭეჭყარე ენერგიასა და ცოდნას ახმარდა მტერზე გამარჯვების საყოველთაო-სახალხო საქმეს. ომის წლებში ჯ. ნ. კეცხოველი ორჯერ დაჯილდოვდა ორდენით „წითელი ვარსკვლავი", ორჯერ ორდენით „ნიშან პატივისა".

ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა. სკკპ XIX ყრილობაზე არჩეული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს კომპარტიის XIV, XV, XVII, XVIII ყრილობებზე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო საქართველოს კომპარტიის XX ყრილობაზე —საქართველოს კპ სარევიზიო კომისიის წევრად. არაერთხელ იყო არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველის დამსახურებას — იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, „სამამაცო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

სადაც კი უმუშავნია ზაქარია ნიკოლოზის-ძეს, ყველგან იხვეჭდა გარშემო მყოფთა სიყვარულს თავისი თავმდაბლობით, გულითადობითა და მაღალი ადამიანურობით. იგი უყვარდათ, პატივს სცემდნენ ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის, იმისათვის, რომ მზად იყო დახმარებოდა თვითეულს, ვინც მას მიმართავდა, რომ შეურიგებელი იყო ადამიანური ურთიერთობის ნორმების ყოველგვარი დამახინჯებისა და დარღვევისადმი.

პრინციპული კომუნისტის, საბჭოთა ხალხის დიდი პატრიოტის, გულისხმიერი ამხანაგისა და მეგობრის ხსოვნა დიდხანს დარჩება ყველა იმათ გულში, ვინც იცნობდა ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველს და ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

ზ. ა. გოგიჩაიშვილი, ვ. ბ. მუკავანაძე, პ. ა. როდიონოვი, რ. ი. ფრუიძე, ნ. შ. ცხაკაია, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. ი. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ზ. ბ. გელდიაშვილი, ა. მ. ლაბახუა, ვ. მ. სირაძე, ე. მ. ჯაფარიძე, ზ. ა. კვაჭაძე, მ. მ. ლელაშვილი, შ. ე. ბუხრაშვილი, ვ. ი. ვადაჭკორია, ი. ნ. ლალიძე, მ. ა. მეგრელიშვილი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა

მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე დგანან ვიეტნამის სახალხო არმიის მამაცი მერაკეტები. ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი მეომართა ხშირი სტუმრები არიან. ეხმარებიან მათ ხეების დარგვაში, უამბობენ სოფლის ყოველდღიური შრომის შესახებ.

სურათზე: ხეების რგვა ნ რაკეტულ ნაწილში.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები და პრესა იუწყებიან, რომ გაძლიერდა სომხარი მოქმედება კამბოჯის ჩრდილოეთ და ცენტრალურ რაიონებში, ანგრთვე მდინარე მეკონგის დელტაში.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაშნლის საავენტოს პნომპენური კორესპონდენტი იუწყება, კამბოჯელმა პატრიოტებმა კვლავ გადაკეტეს უაღრესად დიდმნიშნელოვანი ავტომაგისტრალი, რომელიც პნომპენს ქვეყნის ერთად ერთ დიდ საზღვაო ნავსადგურს კომპონგსომს უკავშირებს. იქ არის ნავთობგამოსახდელი ქარხანა, რომელიც საწვავით ამარაგებს დედაქალაქს და კამბოჯის სხვა ქალაქებს.

ლონდონი, 22 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის საავენტოს პნომპენელი კორესპონდენტი იუწყება, აშკარად ეროვნული განთავისუფლების ძალები თავს იყრიან პატარა ქალაქ ჩანკანარის გარშემო, დაახლოებით 30 მილზე პნომპენის სამხრეთით. პატრიოტთა სხვა ქვეგანაყოფები მიდგან კომპონგსპეს — იმავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრის მიმართულებით.

ნიუ-იორკი, 22 ივნისი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო საავენტოები და პრესა იუწყებიან, რომ გაძლიერდა სომხარი მოქმედება კამბოჯის ჩრდილოეთ და ცენტრალურ რაიონებში, ანგრთვე მდინარე მეკონგის დელტაში.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაშნლის საავენტოს პნომპენელი კორესპონდენტი იუწყება, კამბოჯელმა პატრიოტებმა კვლავ გადაკეტეს უაღრესად დიდმნიშნელოვანი ავტომაგისტრალი, რომელიც პნომპენს ქვეყნის ერთად ერთ დიდ საზღვაო ნავსადგურს კომპონგსომს უკავშირებს. იქ არის ნავთობგამოსახდელი ქარხანა, რომელიც საწვავით ამარაგებს დედაქალაქს და კამბოჯის სხვა ქალაქებს.

ნიუ-იორკი, 22 ივნისი. (საკდესი). ვაშინგტონის ინფორმირებული საავენტოს ცნობით, ამერიკის ავიაციამ ბრძოლა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალი ქვეყნები შრომის სოციალისტური დანაწილების ბაზაზე კოორდინაციას უწევენ თავიანთ სახალხო-სამეურნეო გეგმებს, მაგრამ ისე, რომ არ დაირღვეს მათი ეროვნული ეკონომიკის მთლიანობა.

— **ᲒᲨᲘᲗᲕᲘᲡ ᲣᲨᲠᲔᲓ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲒᲘᲜᲘᲗᲮᲠᲝᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ?**

— საბჭოთა კავშირს სოციალისტური სახელმწიფოების თანამეგობრობაში წამყვანი ადგილი უჭირავს, როგორც მათ შორის ყველაზე დიდ ინდუსტრიულ ქვეყანას, და ყოველთვის მზად არის ხელი გაუწოდოს მათ. ამდენად სოციალისტურ ქვეყნებში თითქმის არ არის ეკონომიკის ისეთი დარგი, რომლის განვითარებაშიც საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობდეს.

იგი ეხმარება მათ ელექტროსადგურების, მადნის, ნავთობის, ქვანახშირის მოპოვებელი და გადამუშავებელი საწარმოების, ყოველგვარი ქარხანა-ფაბრიკების მშენებლობაში. უკვე მოქმედებს ათასზე მეტი ასეთი საწარმო, ექვსასი კი შენდება ან უახლოეს წლებში აიგება.

საბჭოთა ნედლეულის მიწოდება უზრუნველყოფს სოციალისტური ქვეყნების მრავალი საწარმოს შეუფერხებელ მუშაობას. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები საბჭოთა კავშირის მიერ მიწოდებული ნედლეულის ხარჯზე ფარავენ თავიანთ იმპორტულ მოთხოვნილებას: ქვანახშირზე 70 პროცენტით, ნავთობზე თითქმის მთლიანად, რკინის მადანზე — 85, თუჯზე — 97, ფეროშენადნობებზე — 83, ბამბაზე — 60 პროცენტით. აი ჩვენი წვლილი ენერგეტიკის განვითარებაში — სსრ კავშირის ხელშეწყობით აშენებული ელექტროსადგურები მონღოლეთში მთელი გამომუშავებული ენერგიის 90 პროცენტს იძლევიან, ბულგარეთში — 70-ზე, რუმინეთში — 50-ზე მეტ პროცენტს.

სსრ კავშირი ამზადებს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა ეროვნულ კადრებს. საკმარისია ითქვას, რომ თანამშრომლობის დაწყებიდან საბჭოთა ქვეყანაში მოამზადა სოციალისტური სახელმწიფოების 54 ათასზე მეტი წარმოუვიდილი.

— **რას ᲘᲪᲐᲕᲓᲘᲜ ᲓᲐᲓ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲨᲘᲠᲘ?**

— სოციალისტური ქვეყნები სსრ კავშირს თავიანთ არაერთ პრობლემის გადაწყვეტას. ეს არის მოწყობილობა და მანქანები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ფართო მოხმარების საქონელი. ბულგარეთი გვაწვდის ბოსტნეულსა და ხილს, მანქანათმშენებელი ქარხნების, გემოკვეთის მრეწველობის პროდუქციას. უნგრეთი — შესანიშნავ დიზელ-მატარებლებს, ტექნოლოგიურ მოწყობილობას, ხელსაწყოებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა უცხოეთში განლაგებულ სხვადასხვა სახის მანქანებისა და მოწყობილობათა შეკვეთების 30 პროცენტს ასრულებს.

სოციალისტური ქვეყნების პროდუქციით სსრ კავშირი მნიშვნელოვნად ფარავს თავის მოთხოვნილებას საზღვაო სატრანსპორტო გემებზე, მაგისტრალურ და სამრეწველო ელმავლებზე, სამგზავრო ვაგონებზე და ა. შ.

— **ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲐᲜᲒᲠᲘᲨᲐᲒᲠᲝᲑᲘᲗ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ?**

— მოვიყვან ორ ციფრს. 1957 წელს, მაშინ როცა სსრ კავშირში შეიქმნა საგარეო ეკონომიური ურთიერთობის საბელმწიფო კომიტეტი, ჩვენ შეთანხმება გვქონდა 7 განვითარებად ქვეყანასთან. ახლა კი ეს რიცხვი 39-მდე გაიზარდა. ამ წლის განმავლობაში აიგო 300-ზე მეტი მსხვილი ობიექტი, მათ შორის 40 მანქანათსაშენებლო და მეტალურგიული ქარხანა, 30-ზე მეტი ელექტროსადგური, მსუბუქი და კვების მრეწველობის 60-მდე საწარმო.

მთავარი მიზანია დავეხმაროთ ეროვნული ეკონომიკის, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობის, როგორც სახალხო მეურნეობის საფუძვლის, შექმნასა და განვითარებაში. ჩვენ ყოველმხრივ გუწყობთ ხელს სახელმწიფო სექტორის განვითარებას, რაც განამტკიცებს ეროვნული ეკონომიკის პოზიციებს, საშუალებას აძლევს ამ ქვეყნებს ებრძოლონ იმპერიალისტურ მონოპოლიებს.

ყველაფერი, რაც სსრ კავშირის ხელშეწყობით შენდება, შემკვეთი ქვეყნის სრული საკუთრება ხდება. მნიშვნელოვნად ვითარდება საწარმოო თანამშრომლობა.

— **რა ᲑᲐᲫᲔᲕᲡ ᲛᲔᲮᲓᲔᲒᲔᲚᲝᲑᲐᲡ?**

— ჩვენ რომელიმე ქვეყანას ვეხმარებით ისეთი საწარმოს მშენებლობაში, რომლის პროდუქციითაც დაინტერესებულია აგრეთვე სსრ კავშირი. ეს ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელია. ამის მაგალითს წარმოადგენს ბაზის სარეწებისა და გაზსადენის მშენებლობა ავღანეთში, სადაც ჩვენს დანაბარჯებს გაზის მოწოდებით ვინაზღაურებთ. ასეთივე პირობით გაგვყავს გაზსადენი ირანიდან კავკასიაში. იძლეოდნიდან სსრ კავშირი იღებს ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის ნაგლინს, რომელიც, როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ხელშეწყობით აშენდა.

ამგვარად სსრ კავშირის დახმარებით შენდება, ფართოვდება ან დაგეგმილია ასაგებად დაახლოებით 400 ობიექტი. მათში გარდა ქარხნების, მძიმე ინდუსტრიის კომბინატებისა და ელექტროსადგურებისა, შედის სამედიცინო და ფარმაცევტული მრეწველობის საწარმოები, ატომური რეაქტორები, რადიოსადგურები, გზატკეცილები და რკინიგზის ხაზები, ხიდები, ნავსადგურები, ელევატორები, კამბსატები, საირიგაციო არხები, ჰოსპიტლები, საცხოვრებელი სახლები.

ვფიქრობ, რომ მთავარია არა რაოდენობა, არამედ ამ ობიექტების მნიშვნელობა, მათი წვლილი განვითარებადი ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკაში. თუ ყველა ობიექტს შევაერთებთ (უკვე აგებულს, მშენებარეს და მათ, რომლებიც არსებული შეთანხმების საფუძველზე იგება), ისინი უზრუნველყოფენ ფოლადის წარმოების ზრდას დაახლოებით 9 მილიონი ტონით, ნავთობისას — თერთმეტნახევარი მილიონი ტონით. ქვანახშირისას — ათნახევარი მილიონი ტონით. ელექტროსადგურების სიმძლავრე დაახლოებით 6 მილიონი კილოვატით გაიზრდება.

დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები წინააღმდეგობას უწევენ ბევრი განვითარებადი ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის განვითარებას, რითაც სურთ შეაჩერონ მათი ეროვნული ეკონომიკის ზრდა. მათ სრულიადაც არ ანერვიგთ ხელს ის, რომ მარტო ასუანის ჰიდროკვანძიდან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა იმდენ შემოსავალს მიიღებს, რაც ეგვიპტის რევოლუციამდელი შემოსავლის თითქმის ნახევარს უდრის.

საბჭოთა სპეციალისტები დიდ დახმარებას უწევენ კვალიფიციურ მუშათა და ოსტატთა ეროვნული კადრების მომზადებაში. თანამშრომლობის მთელ პერიოდში 200 ათასამდე ასეთი სპეციალისტი მომზადდა. მთელ რიგ სახელმწიფოებში შექმნილია ტექნიკუმები და ინსტიტუტები. განვითარებად ქვეყნების ათასობით სპეციალისტმა ცოდნა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო.

— **რა ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲬᲔᲕᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲓ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ 1970 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ?**

— მიმდინარე წლის ინდოეთის ქალაქ რანჩიში დამთავრება მძიმე ელექტრომოწყობილობის ქარხნის მშენებლობა. თურქეთში შენდება ნავთობგადამამუშავებელი, გოგირდმჟავას და ხისა და ბოჭკოვანი ფილების ქარხნები. ირანში მწყობრში ჩადგება მაგისტრალური გაზსადენის საგუასტარას უბანი. სირიაში ჩვენი ხელშეწყობით იქმნება კაღრების მოსამზადებელი სასწავლო ცენტრი, რომლის კურსდამთავრებული მოემსახურებიან ჰიდროელექტროსადგურის მდინარე ევფრატზე. პაკისტანში შენდება თბოელექტროსადგური „გორაზალი" და სამი რადიოსადგური.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდება აფრიკის ქვეყნებში. ჩვენი დახმარებით არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გაგრძელდება ასუანის კაშხალის, ჰიდროელექტროსადგურისა და საირიგაციო სისტემის მშენებლობა. ალჟირში უნდა ამუშავდეს თბოელექტროსადგური „ანაბა", ტყვიაფუთის გამამდიდრებელი ფაბრიკა. ქ. ელ-აბედში, შეიქმნება განათლების 25 ახალი ცენტრი.

აფართოებს რა თავის საგარეო ეკონომიურ ურთიერთობას, საბჭოთა კავშირი სულ უფრო მეტ მეგობარს იძენს უცხოეთში. ეს იმიტომ, რომ ლენინური პრინციპები, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობს, ჰუმანურია და მათ საფუძვლად უდევს მსოფლიოს ხალხებს შორის ინტერნაციონალური მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა. ისინი მშვიდობისა და პროგრესის საქმეს ემსახურებიან.

თათბირი ტრიპოლში

ბაირო, 22 ივნისი. (საკდესი). ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლში, წერს გაზეთი „ალ-ჰერალი", მიმდინარეობს მთელი რიგი არაბული ქვეყნების მეთაურთა და წარმომადგენლების მოლაპარაკება. ისინი აქ შეიკრიბნენ იმ ზემთან დაკავშირებით, რომელიც ლიბიის ტერიტორიიდან უცხოეთის სამხედრო ბაზების ევაკუაციის დამთავრებას ეძღვნება. მოლაპარაკება ეხება ისრაელის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტის განმტკიცების საკითხებს, ბგრეთვე იორდანიაში შექმნილ მდგომარეობას.

მოლაპარაკებაში მონაწილეობენ ლიბიის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე კადაფი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ნასერი, ხარიმის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაური ნურედინ ათასი, ერაყის პრეზიდენტი ბაქრი, იორდანიის მეფე ჰუსეინი, სუდანის რევოლუციური საბჭოს წევრი აბუ ზეიდი და ალჟირის წარმომადგენელი ამედ კაიდი.

დიპლომატიური წყაროებიდან მიღებული ცნობებით, წერს „ალ-ჰერალდი", მოლაპარაკების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისრაელის საკითხი, რომელიც ეხება შეერთებული შტატების მიერ ისრაელისათვის დამატებითი რეაქტიული თვითმფრინავების შესაძლო მიწოდებას. როგორც ცნობილი გახდა, არაბთა სახელმწიფოების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები მიიღებს გადაწყვეტილებას ისრაელისათვის თვითმფრინავების ახალი მიწოდების შესახებ, მაშინ „არაბული ქვეყნები დაიკავებენ ისეთ პოზიციას, რომელიც სერიოზულ გავლენას მოახდენს ამერიკის ინტერესებზე არაბულ სამყაროში მრავალი წლის მანძილზე".

ისრაელის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობის განხილვის დროს განსოვდა კადაფი, რომელმაც ილაპარაკა ამ საკითხზე მთელი რიგი არაბული ქვეყნების ხელმძღვანელებთან ამასწინანდელ მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

„ალ-ჰერამი" წერს, რომ პარალელურად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი ფაავზი მართავს თათბირს ზოგიერთი არაბული ქვეყნის პასუხისმგებელ სამხედრო ხელმძღვანელებთან.

სამხედრო დამნაშავე გუნდესვერში

ბონი, 22 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სეროვა იუწყება:

ბუნდესვერის გენერალი კარლ-თეოდორ მოლინარი, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეოთხე სამხედრო ოლქის სარდლის პოსტი უჭირავს, სამხედრო დამნაშავეა. ამის უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები წარუდგინა მაინცში შექმნილმა სამხედრო დამნაშავეთა დევნის კომიტეტმა. ამ კომიტეტის მიერ მაინცში გამართულ პრეს-კონფერენციაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, იგრეთვე მოწმეთა ჩვენებანი არავითარ ეჭვს არ იწვევენ, რომ 1944 წელს მოლინარი უშუალოდ მონაწილეობდა საფრანგეთის წინააღმდეგობის ანტიფაშისტური მოძრაობის მებრძოლთა დარბევაში.

1951 წელს საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნალმა მეცში მოლინარის დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, მაგრამ დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებამ სამხედრო დამნაშავე არ გადასცეს საფრანგეთის სასამართლო ორგანოებს. უფრო მეტიც. სარგებლობს რა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წაყრუებითა და მზარდაჭერით, მოლინარიმ, ისევე როგორც ბევრმა სხვა ნაცისტმა დამნაშავემ, დაიკავა მაღალი პოსტი ბუნდესვერში. თვითონ მოლინარი ჯიუტად უარყოფდა თავის დანაშაულს, ამტკიცებდა, თითქოს იგი არ ყოფილიყოს დანაშაულის ადგილას და „არაფერი არ სცოდნოდეს" ამ დანაშაულის შესახებ.

მაგრამ მოწმეებმა განაცხადეს, რომ მოლინარი, რომელიც ომის წლებში იყო მაიორი და შსბ-ს რობოდა ვერმახტის 36-ე სატანკო პოლკში, უშუალოდ მონაწილეობდა 1944 წლის ივნისში არდენში წინააღმდეგობის მოძრაობის 106 ფრანგი მონაწილის წამებასა და დახვრეტაში. მოწმეებმა თქვეს, რომ მოლინარი მაშინ დანაშაულის ადგილზე იყო. ამას ადასტურებს ნაპოვნი ფოტოსურათები. იგი განკარულებას იძლეოდა და თვითონ მონაწილეობდა დახვრეტაში.

სამხედრო დამნაშავეთა დევნის კომიტეტმა ჩამოაყალიბა მოწმეთა ჩვენებანი და თავისი გამოძიების შედეგები დოკუმენტაციაში, რომლის საფუძველზე სასამართლო სამართალს აძლევს მოლინარის წინააღმდეგ.

კომუნისტი
ᲡᲡ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲠᲗ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲖᲐᲢᲘᲐ,
24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1970 Წ.

მეოთხე საერთაშორისო

ოქროს ხმები

ზურაბ სოტკილავას—მეორე პრემია და ლაურეატის ვერცხლის მედალი

ბუშინ, 28 ივნისს ცნობილი გახდა ვოკალისტების — პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მე-4 საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებისა და დიპლომანტების სახელები. ამ უძნელეს შემოქმედებით შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 ქვეყნის 73 მომღერალი. ფინალში გავიდა ვოკალის 20 ოსტატი.

ჟიურიმ, რომელსაც მეთაურობდა მოსკოვის კონსერვატორიის რექტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვ. სვეშნიკოვი, გაითვალისწინა კონკურსის მაღალი დონე და შესაძლებლად მიიჩნია მიენიჭებინა მთელი რიგი დამატებითი პრემიები. ჭილდოები დაწესდა ცალცალკე მომღერალი ქალებისა და მამაკაცებისათვის.

პირველი პრემიები და ლაურეატის ოქროს მედლები მიენიჭათ ელენე ობრაზცოვას და თამარ სინიავსკაიას (ორივე — სსრ კავშირი). ჟიურის გადაწყვეტილებით მეორე პრემია არავის არ მინიჭებია. მესამე პრემია და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ევდოკია კოლესნიკმა (სსრ კავშირი).

მეოთხე პრემია მიიღო ნადეჟდა კრასნაიამ (სსრ კავშირი), მეხუთე — ესთერ კოვაჩმა (უნგრეთი), მეექვსე — ედნა ბარაბედიან-ჯორჯმა (ამერიკის შეერთებული შტატები).

ჟიურის დიპლომებით დაჯილდოვდნენ კელიე ანგერმო (ფინეთი) და გიზელა ციპოლა (სსრ კავშირი).

პირველი პრემიები და ლაურეატის ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე ევგენი ნესტერენკომ და ნიკოლოზ ობრაზნიჩმა (ორივე — სსრ კავშირი). მეორე პრემიები და ვერცხლის მედლები მიენიჭათ ვლადისლავ პიავკოსა და ზურაბ სოტკილავას (ორივე — სსრ კავშირი). მესამე პრემიით და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა ვიქტორ ტრიშინი (სსრ კავშირი).

მეოთხე პრემიები მიიღეს ალექსანდრე პავილოვმა და ალექსანდრე რუდკოვსკიმ (ორივე — სსრ კავშირი), მეხუთე — თომას ტომაშკემ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), მეექვსე — სარქის გუიუმჯიანმა და ვალერი კუჩინსკიმ (ორივე— სსრ კავშირი).

ჟიურის დიპლომებს მიიღებენ ჯონ ვესტი (ამერიკის შეერთებული შტატები) და ბენრდ რიდელი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ეს ამშვენებს დედაქალაქს



თბილისი დღეს სურათზე: საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ახალი ადმინისტრაციული შენობა ლენინის მოედანზე. ფოტო ს. ჭილაძისა.

ჩემპიონატის ირგვლივ

მსოფლიო ჩემპიონატის ფინიშს ფეხბურთში მექსიკის გაზეთები ფართო ადგილს უთმობენ, აღწერენ ბრაზილიისა და იტალიის ნაკრებთა დასკვნითს შეხვედრას, ბეჭდავენ ინტერვიუს მწვრთნელებთან, ფეხბურთელებთან.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ზაგალომ განაცხადა — მოთამაშეთა კარგი ფიზიკური მომზადება და განსაკუთრებით მექსიკელ მაყურებელთა მხარდაჭერა — აი ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ბრაზილიელ ფეხბურთელთა წარმატება. როგორც წესი, ზაგალო განვლილ მატჩებში არ ასახელებდა გუნდის საუკეთესო მოთამაშეებს, მაგრამ ამჯერად მან აღნიშნა პელეს დიდი როლი ჟიულ რიმეს თასის მესამეჯერ მოპოვებაში.

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ვალკარეჯიმ აღიარა, რომ ახლა ბრაზილიას მსოფლიოში ყველაზე ძლიერი გუნდი ჰყავს. ოთხი ათასი ყვავილი, რომლებიც იტალიელებმა მექსიკაში თავიანთი ფეხბურთელების გამარჯვების შემთხვევაში მათთვის საჩუქრად გამოგზავნეს, იტალიელმა ფეხბურთელებმა დაურიგეს მაყურებლებს და ბრაზილიელ მოთამაშეებს.

ფინალურ მატჩი ბრაზილიისა და იტალიის გუნდებს შორის ტელევიზორით ნახა 700 მილიონმა მაყურებელმა, აქედან 500 მილიონმა ევროპის ქვეყნებიდან, 200 მილიონმა — სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან.

დაამთავრეს სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღება „ფეხბურთი, მექსიკა-70“. ამ ფილმში მაყურებლები ნახავენ მსოფლიოს პირველობის ყველაზე საინტერესო მატჩების მთავარ epizodebs.

სომგატჰეის ფიცარნაგზე

უნგრეთის ქალაქ სომბატჰეის ფიცარნაგზე გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში.

კვირას პაექრობა ჰქონდათ მჩატე წონის შტანგისტებს. ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა უნგრელმა ძალოსანმა იმრე ფელდმა, რომელმაც სამჭიდში 372,5 კილოგრამი შეაგროვა.

22 ივნისს ფიცარნაგზე გამოვიდნენ ქვემძლეებუქი წონის ძალოსნები. ამ წონაში საპატიო კაენშირიდან არავინ გამოსულა. დამყარებულ იქნა ორი მსოფლიო რეკორდი, რომლის ავტორები არიან ბულგარელი მ. კუცევი და პოლონელი ი. ვოინოვსკი. პირველმა აჭიმა 132,5 კილოგრამი, მეორემ კი ატაცში აწევნა 120 კილოგრამი.

სამჭიდში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა მ. კუცევმა — 382,5 კილოგრამი. მეორე იყო ი. ვოინოვსკი — 377,5 კილოგრამი, მესამე — ი. ბენედეკი (უნგრეთი) — 375 კილოგრამი.

გუშინ პაექრობა ჰქონდათ მსუბუქი წონის შტანგისტებს.

კალათბურთის ფართან

ბრძოლებია საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრის შეხვედრები კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის.

მორიგი მატჩი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს ჰქონდა ლენინგრადში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთან — „სპარტაკთან“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 63:58.

22 ივნისს შედგა 3 შეხვედრა. ყურადღების ცენტრში იდგა ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონის — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდისა და მოსკოვის „დინამოს“ მატჩი. ასპარეზობა დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით 77:72 (38:39).

კიევში თამაშობდნენ ადგილობრივი „სტროიტელისა“ და რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდები. მატჩი კიეველებმა მოიგეს 80:77.

თბილისში კაუნასის „ჟალგირისისა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრა დამთავრდა კაუნასელთა გამარჯვებით 80:73 (37:43).

წარმატებითი სტარტი

სსრ კავშირის ჩემპიონმა ჩოგბურთში ა. მეტრეველმა წარმატებით აიღო სტარტი უიმბლდონის ტურნირზე ლონდონში, რომელსაც მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობას უწოდებენ. ჩვენმა თანამემამულემ მძაფრ ბრძოლაში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი ი. კოდეში 6:2, 7:5, 3:6, 2:6, 7:5.

ცნობათა კუთხე

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მ. გორკის სახელობის მასხარაძის ქვეების მრეწველობის ტექნიკუმი

აცხადებს 1970-71 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას

ქართულ სექტორზე პირველ კურსზე ჩაის ტექნოლოგიის და პურის ცხობის წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობებზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ხოლო მეორე კურსზე ქვებს მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობის, პურის ცხობის, მაცარონის და საკონდიტრო წარმოების მექანიზაციის სპეციალობაზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

სწავლის ხანგრძლივობა პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის 3 წელი და 6 თვეა, მეორე კურსზე ჩარიცხულთათვის — 2 წელი და 6 თვე.

მეორე კურსზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი მიიღებიან აგრეთვე საბუღალტრო აღრიცხვის და ქვების მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვის სპეციალობებზე. ამ უცხასწნელ სპეციალობებზე სწავლის ხანგრძლივობა 1 წელი და 10 თვეა.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე. ის პირნი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის 8-9 კლასი, ტექნიკუმში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე საერთო წესით.

პირველ კურსზე შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ არასრული საშუალო სკოლის საპროგრამო მასალის მიხედვით შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენაში (წერა), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, მეორე კურსზე შემსვლელნი: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

ტექნიკუმში ჩარიცხვა იწარმოებს მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგების მიხედვით კონკურსის წესით.

კონკურსგარეშე მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც აქვთ წარმოებაში და სოფლის მეურნეობაში მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა. აგრეთვე ის პირნიც, რომლებიც მოვლინებული არიან კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, ჩაის ფაბრიკებიდან და სხვა შესაბამისი საწარმოებიდან. აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი და საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრაიდონები მისაღებ გამოცდებს არ აბარებენ, ჩარიცხებიან უგამოცდოდ.

წარმოებიდან მოწყვეტით სწავლებაზე უგამოცდოდ მიიღებიან მოსწავლეები, რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ოქროსა და ვერცხლის მედლით, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ზეგადიანი სამსახურის ოფიცრები და მოსამსახურენი, რომლებიც გათავისუფლებული არიან. საშუალო სკოლადამთავრებულნი, რომლებსაც ცალკეულ საგნებში სწავლების საქმეში გამოიჩინეს განსაკუთრებული მიღწევები და მიღებული აქვთ ქების სიგელი, მისაღებ გამოცდებს არ აბარებენ იმ შემთხვევაში, თუ ეს საგანი გათვალისწინებულია მისაღები გამოცდების დროს.

განცხადებების მიღება წარმოებს 15 აგვისტომდე დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ მუშაობის სტაჟი, პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებისაგან, ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის პედაგოგიური საბჭოსაგან. შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულნი დახასიათებას იღებენ სამხედრო ნაწილების მეთაურებისაგან. 2. ატესტატი (დედანი), 3. ჯანმრთელობის მოწმობა ფორმა № 286, გაცემული ექიმის მიერ, რომელიც ემსახურება სკოლას ან უბანს, 4. ფოტოსურათი 3×4 ზომით, 6 ცალი, ის პირნი, რომლებსაც აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, აგრეთვე შრომის წიგნაკიდან ამონაწერს, შემოწმებულს წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ, ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან ამონაწერს, შემოწმებულს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. 5. დაბადების მოწმობის პირი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. 7. ავტობიოგრაფია.

ის პირნი, რომლებიც წარმოებიდან იგზავნებიან საშუალო სპეციალურ სასწავლებელში, დამატებით აგზავნენ მომართვას ფორმა № 1. 8. სასწავლებელში გამოცდებისას შემსვლელნი პირადად აგზავნენ სამხედრო ბილეთს (სამხედრო ვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (წვევამდელები).

მისაღები გამოცდები — 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. ჩარიცხვა — 25 აგვისტოდან 30 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ქ. ბახტრაძე. მშვიდობის ქ. № 8.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

აცხადებს 1970-71 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრუფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

რუსთავის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 3

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-1971 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის ქვემოთ ჩამოთვლილ სპეციალისტებს ამავე დროულად საშუალო ცოდნის მიღებით: 1. შემკეთებელ ზეინკლებს, 2. მეორი ხელის ბრძმედის მეჭურებს, 3. ჩამომსხმელ მეყალიბეებს, 4. მეფოლადის ხელშემწყობებს, 5. მგლინავის ხელშემწყობებს, 6. ლითონოგრაფიული მოშაების ხარატებს, 7. შემკეთებელ-ელექტრომონტიორებს.

სწავლების ვადა საშუალო ცოდნის მიღებით — 3 წელი. ხოლო მარტო სპეციალობის მიღებით — ერთ წლამდე.

მოსწავლეები, რომლებიც დაამთავრებენ სამწლიან სწავლებას, არჩიენ პროფესიასთან ერთად მიიღებენ ზოგადი განათლების საშუალო ცოდნის სიმწიფის ატესტატს.

მოსწავლეები, რომლებიც სამწლიან სწავლებას დაამთავრებენ სამწლიან სწავლებაში ჩარიცხულნი უმრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 27 აგვისტომდე, დილის 9 საათიდან 16 საათამდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. № 3 პროფტექნიკური სასწავლებელი № 3. ტელეფონები: 24-82 ან 24-83, კომუტატორი 24-42.

სწავლების პერიოდი მოსწავლეებს ჩაეთვლებათ მუშაობის სტაჟში.

სასწავლებელში მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთები: 1. რვა კლასის დამთავრების მოწმობა (დედანი და მისი პირი), 2. პასპორტი — სრულწლოვანთათვის, 3. დაბადების მოწმობა და მისი პირი. 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, 6. ავტობიოგრაფია. 7. 8 ცალი ფოტოსურათი 3X4, 8. განცხადება დირექტორის სახელზე.

სწავლების პერიოდში მოსწავლეები იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

განცხადებების მიღება წარმოებს 15 აგვისტომდე დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ მუშაობის სტაჟი, პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებისაგან, ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის პედაგოგიური საბჭოსაგან. შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულნი დახასიათებას იღებენ სამხედრო ნაწილების მეთაურებისაგან. 2. ატესტატი (დედანი), 3. ჯანმრთელობის მოწმობა ფორმა № 286, გაცემული ექიმის მიერ, რომელიც ემსახურება სკოლას ან უბანს, 4. ფოტოსურათი 3×4 ზომით, 6 ცალი, ის პირნი, რომლებსაც აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, აგრეთვე შრომის წიგნაკიდან ამონაწერს, შემოწმებულს წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ, ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან ამონაწერს, შემოწმებულს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. 5. დაბადების მოწმობის პირი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. 7. ავტობიოგრაფია.

ის პირნი, რომლებიც წარმოებიდან იგზავნებიან საშუალო სპეციალურ სასწავლებელში, დამატებით აგზავნენ მომართვას ფორმა № 1. 8. სასწავლებელში გამოცდებისას შემსვლელნი პირადად აგზავნენ სამხედრო ბილეთს (სამხედრო ვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (წვევამდელები).

მისაღები გამოცდები — 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. ჩარიცხვა — 25 აგვისტოდან 30 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ქ. ბახტრაძე. მშვიდობის ქ. № 8.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

აცხადებს 1970-71 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას

დღის განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე შემდეგ სპეციალობებზე:

1. საბჭოს მოშაოების ტექნოლოგიის I კურსზე. 2. საკონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის I კურსზე. 3. საქონელმცოდნეობისა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის I კურსზე. 4. ვაჭრობაში საბუღალტრო აღრიცხვის I კურსზე.

პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო განათლების მქონე პირნი.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი ასაკის განუსაზღვრელად შემდეგ სპეციალობებზე:

საბჭოს მომზადების ტექნოლოგიის მე-3 კურსზე. 2. საკონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის მე-3 კურსზე. 3. საქონელმცოდნეობისა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის მე-3 კურსზე. 4. ვაჭრობაში საბუღალტრო აღრიცხვის მე-3 კურსზე.

მისაღებ კურსზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირნი.

მისაღებ გამოცდებს პირველ კურსზე შემსვლელნი აბარებენ რვაწლიანი სკოლის პროგრამის მიხედვით, ხოლო მესამე კურსზე — საშუალო სკოლის პროგრამით.

მისაღები გამოცდების ოპარმოძღვნები:

I კურსზე 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში — წერა (წვალითხულის შინაარსის გადმოცემა), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

მე-3 კურსზე საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე, აგრეთვე საბჭოს მომზადების ტექნოლოგიის სპეციალობაზე: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. ქიმიაში (ზეპირი).

საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობის მესამე კურსზე: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება). 2. მათემატიკაში (ზეპირი).

მისაღები გამოცდების ჩაუბარებელად უგამოცდოდ ჩაირიცხებიან:

ა) დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე

პირველი და მეორე კურსი:

1. გაზის მეურნეობა,
2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა,
3. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების მეურნეობა,
4. სამრეწველო საწარმოთა თბოტექნიკური მოწყობილობა,
5. ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა.

ბ. დაუსწრებელი სწავლების განყოფილება.

მესამე კურსი:

1. გაზის მეურნეობა,
2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა,
3. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა,
4. სამრეწველო საწარმოთა თბოტექნიკური მოწყობილობა.

ტექნიკუმში მიიღებიან მოქალაქენი — დღის განყოფილებაზე 30 წლამდე ასაკისა, ხოლო დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე ასაკის განუსაზღვრელად.

პირველ კურსზე: ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა (წერა-მოთხრობა), 2. მათემატიკა (ზეპირი).

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თბილისის გაზისა და ნავთობის ტექნიკუმი

აცხადებს 1970-71 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას

უგამოცდოდ მიიღებიან:

ა) არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, დაჯილდოებულნი ქების სიგელით და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ოქროს ან ვერცხლის მედლით.

ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დათხოვნილი ოფიცრები და ზესამსახურებრივი სამხედრო პირები.

მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგად კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან:

ა) წარმოებიდან მოვლინებული პირები, რომლებსაც აქვთ ორი წლის და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

ბ) საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებული პირები:

გ) ორი წლისა და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები;

დანარჩენ ადგილებზე ჩაირიცხებიან ყველა დანარჩენი შემსვლელნი კონკურსის მიხედვით.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული როგორც გამოცდის ნიშნები, ისე სკოლის სრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაჯილდოებული არიან ქების სიგელებით (ფრაიდონსნები) და რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ოქროს ან ვერცხლის მედალზე.

ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებიდან და ორგანოებიდან დემობილიზებული ოფიცრები და ზესამსახურები (დემობილიზაციიდან ორი წლის განმავლობაში).

კონკურსგარეშე, მისაღებ გამოცდებზე დადებითი ნიშნების მიღების შემთხვევაში, ჩაირიცხებიან: ა) სამშობლო ომის მონაწილენი, ბ) არჩიული სპეციალობის მიხედვით 2 წლის მუშაობის სტაჟის მქონე პირები.

დღის განყოფილებაზე განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე 10 აგვისტომდე დღის 10 საათიდან ოთხ საათამდე.

მისაღები გამოცდები დაუსწრებელ განყოფილებაზე — 1-დან 20 აგვისტომდე, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე 11-დან 20 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე — არჩიული სპეციალობის აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (ატესტატი, დედანი); 2. შრომის (ან სკოლმეურნეო) წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის ან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ; 3. ავტობიოგრაფია; 4. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 286); 5. სამი ფოტოსურათი (ზომა 3X4); 6. დაბადების მოწმობა; 7. პასპორტი; 8. სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) ან სამხედრო აღრიცხვის ბარათი წვევამდელთათვის (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად); 8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

მისაღები გამოცდები — 1970 წლის 11 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს, დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე 1 ოქტომბერს.

განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე 9-დან 16 საათამდე.

თბილისის გაზისა და ნავთობის ტექნიკუმი ამზადებს: ტექნიკოს-მშენებლებს, ტექნიკოს-მექანიკოსებს, ტექნიკოს-თბოტექნიკოსებს, ტექნიკოს ელექტრიკოსებს, რომლებიც მუშაობა შეეძლებათ ნელთობსამშენებლო მრეწველობაში. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობებზე, სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებში, საპროექტო ორგანიზაციებში, გაზის მეურნეობაში, ქალაქისა და სამრეწველო თბოქსელების მშენებლობასა და ექსპლოატაციაში და სხვ.

მისამართი: თბილისი, ოქტომბრის რაიონი, მეუნარგიას ქ. № 28. ტელეფონი 95-29-65.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრუფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

რუსთავის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 3

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-1971 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის ქვემოთ ჩამოთვლილ სპეციალისტებს ამავე დროულად საშუალო ცოდნის მიღებით: 1. შემკეთებელ ზეინკლებს, 2. მეორი ხელის ბრძმედის მეჭურებს, 3. ჩამომსხმელ მეყალიბეებს, 4. მეფოლადის ხელშემწყობებს, 5. მგლინავის ხელშემწყობებს, 6. ლითონოგრაფიული მოშაების ხარატებს, 7. შემკეთებელ-ელექტრომონტიორებს.

სწავლების ვადა საშუალო ცოდნის მიღებით — 3 წელი. ხოლო მარტო სპეციალობის მიღებით — ერთ წლამდე.

მოსწავლეები, რომლებიც დაამთავრებენ სამწლიან სწავლებას, არჩიენ პროფესიასთან ერთად მიიღებენ ზოგადი განათლების საშუალო ცოდნის სიმწიფის ატესტატს.

მოსწავლეები, რომლებიც სამწლიან სწავლებას დაამთავრებენ სამწლიან სწავლებაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 27 აგვისტომდე, დილის 9 საათიდან 16 საათამდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. № 3 პროფტექნიკური სასწავლებელი № 3. ტელეფონები: 24-82 ან 24-83, კომუტატორი 24-42.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის აპარატის მუშაკთა კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრჩეველი

ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

24 ივნისი

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 12.00 — კინოპროგრამა, 12.30 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ნიკოტიანის“ დასასრული“ (პირველი სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.35 — გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი სახელოვანი წინაპრები“, 19.00 — გადაცემა. — „მოგიყვებით, მოგვიხარია“ (განმეორებით), 19.15 — „ახალი ტექნიკა — სოფლის მეურნეობას“, 19.35 — გადაცემა — ბათუ კრავეიშვილი, 20.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: 1. „ბუნების კარი“, 2. კინოდარბაზი, 21.30 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 21.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ნიკოტიანის“ დასასრული“ (მეორე სერია).

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 26 ივნისს.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, ბ/შგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 93-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის—93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

კომუნისტი ინდექს 66443 უე 04317 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.